ლეო ესაკია

ახალი თეატრის პრინციპები

I.

ახალი თეატრის ჯერ კიდევ ხან მოკლე ისტორიაში პირველი ადგილი უჭირავს მ ე ი ე რ ხ ო ლ დ ი ს თეატრს, რომლის საფუძვლები უფრო ს ი ნ ტ ე ტ ი უ რ ა დ მოცემულია „Лес“-ში და „Д.Е.“-ში. მთლიანად თეატრის ისტორიის დაახლოებით 20 წლის განმავლობაში კვლევისა და შესწავლის შედეგად მეიერხოლდმა მიიღო თეატრი, ნამდვილ თეატრალურ პრინციპებზე აგებული, და რაც მთავარია თანამედროვე ეპოქასთან შეფარდებული.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ახალი თეატრი თითქოს ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ა ს რ უ ლ ე ბ უ ლ სისტემას წარმოადგენდეს, მასში ძიებებს და გადაუჭრელ პრობლემებს ადგილი არ ქონდეს.

„საკითხის სწორად დასმა ნახევრად მის გადაჭრას უდრის“. ახალი თეატრის პრობლემები კი, დღის წესრიგში დგანან და მათი გადაჭრის სანდო პერსპექტივები მოცემულია.

სანამ გადავიდოდეთ ახალი თეატრის განხილვაზე, საჭიროა გავარკვიოთ თუ არა პრინციპებით ხელმძღვანელობდა მ ე ი ე რ ხ ო ლ დ ი ს თ ე ა ტ რ ი თავის დადგმებში და საიდან წარმოიშვა ეს პრინციპები.

თუ თვალს გადავავლებთ თეატრის ისტორიას ანტიურ თეატრიდან ვიდრე დღემდე, დავინახავთ, რომ საერთოთ თეატრი შეიძლება იყოს უმთავრესად ორნაირი: „ესტეტთა თეატრი“-წმინდა „სტანკოვისტური“ და „ემოციონალურ-ნებითი“ თეატრი.

თეატრის ფორმალ კვლევის დროს ისევე, როგორც ყველა სხვა ხელოვნების, შეუძლებელია გვერდი აუაროთ მის სოციალ-ეკონომიურ ბაზას, რომელსაც საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ამა თუ იმ მხატვრულ ფორმის არსებობა მიღებაში.

ცხოვრებაში ახლად გამოსული კლასი საზოგადოებისა, როგორც მისი მესვეური, ეპოქასთან შეფარდებით პროგრესიული და ფსიქიურად სხვა კლასებზე ჯანსაღი,—უფრო ეტანება აღნიშნული მეორე ტიპის თეატრს, სახელდობრ ემოციონალურ—ნებითი თეატრს.

ამიტომაც, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ოქტომბრის სოციალურ რევოლიუციის წინამძღვრების გარეშე საერთოდ ახალი თეატრი, კერძოდ მეიერხოლდის დადგმები. ოქტომბრის რევოლიუციით შექმნილი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა—ის

ბითი გამოსწორებით, აკადემია მიუახლოვდა უმაღლეს სასწავლებლის გარკვეულ პროგრამას, რომელიც შეიცავს ოთხ ფაკულტეტს: არქიტექტურის, გრაფიკის, ქანდაკების და ფერებით წერის.

გარდა ამ ვრცელ სამოსწავლო გეგმისა, რომელიც შეიცავს ამ დარგთა საგნების სპეციალ სამხატვრო დისციპლინების დიფერენციალურ ცხრილს, უკანასკნელ ორ წელში შემოღებულია აგრეთვე პოლიტმინიმუმის სპეციალური საგნები.

როგორც დაგვანახა პროგრამის სწორედ ამ ნაწილის პრაქტიკულმა და თეორიულმა შესწავლამ, პოლიტიკურმა საგნებმა მიიღეს ცალკე დამოუკიდებელ დარგის ხასიათი, და ამიტომაც განზრახულია მომავალში ეს ნაწილი დაყენებულ იქნას შემდეგნაირად: I კურსზე იკითხება პოლიტიკური ეკონომია და საბჭოთა მშენებლობა მე-II კურსზე—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები და ეკონომიური პოლიტიკა და მე-III კურსზე კომუნისტურ პარტიის ისტორია.

სამხატვრო დისციპლინების სპეციალ დარგთა შორის განზრახულია ფეოებით ფაკულტეტზე ცალკე ფერებითი წერის ტეხნიკის საგნის შემოღება, ქანდაკების ფაკულტეტზე კერამიკულ სახელოსნოების გაფართოება, გრაფიკის ფაკულტეტზე ეგრეთ წოდებულ „ოფორტის“ სახელოსნოების დაარსება, საარქიტექტურო ფაკულტეტზე კი დაბალ გეოდეზიის ეპიზოდიური ხასიათის კურსის ნაცვლად მუდმივ სპეციალურ კურსის შემოღება.

რასაკვირველია, პროგრამის ასეთი გაფართოება მოითხოვს შტატის გადიდებასთან ერთად, უპირველესად ყოვლისა აგრეთვე შენობის გაფართოებას, ახალი კლასების მოწყობას. ბინის უქონლობა და სივიწროვე დღემდე აკადემიისათვის ძძიმე და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა რომ შენობის ნახევარი ნაწილი უკვე გადმოეცა აკადემიას სრულ საკუთრებად. ამ მხრივ აკადემიის ხუთი ან, შესაძლებელია, 10 წლის საპერსპექტივო გეგმაში დასმულია საკითხი ქანდაკებისა და ფერებით წერის ფაკულტეტებისათვის ახალი კლასების აშენების შესახებ. ამას თუ მიუმატებთ აკადემიის შენობის განთავისუფლებას კერძო მცხოვრებთაგან, შეიძლება ითქვას რომ ხუთი ან ათი წლის განმავლობაში აკადემია შესძლებს შესაფერისად მოეწყოს და პედაგოგიური მოღვაწეობა საჭირო სიმაღლეზე დააყენოს.

თუ გავიხსენებთ აკადემიის დაარსების მომენტს ხუთი წლის წინეთ, როდესაც მას არ ჰქონდა არც ფული, არც ინვენტარი, არც შესაფერისი სასწავლო ნივთები, არც შენობა გარდა ხუთი-ექვსი კლასისა, ისიც სხვის დანგრეულ სახლში და გავიხსენებთ აგრეთვე თუ რა ძძიმე და შეუმჩნეველი მუშაობაა შესრულებული ამ ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ უფრო მეტის რწმენით შევხედავთ ჩვენი ერთად-ერთ უმაღლეს სამხატვრო სკოლის მომავალსა და წარმატებას.